ტენდერი კაფის იჯარით გადაცემის შესახებ გოეთეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (შეხვედრების სივრცის ტერიტორიაზე), თბილისში

საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი 01.10.2025-დან ეძებს მოტივირებულ და გამოცდილ მეიჯარეს კაფის ასამუშავებლად ჩვენი ბიბლიოთეკის შეხვედრების სივრცეში, რომელიც ჰარმონიულად უნდა ჩაერთოს ბიბლიოთეკის ყოველდღიურობაში და გაამდიდროს ის გასტრონომიული თვალსაზრისით.

ადგილი და გარემო

კაფე მდებარეობს გოეთეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკის პირველ სართულზე, შეხვედრების სივრცის შიგნით. ინსტიტუტი განთავსებულია ვერაზე ზანდუკელის ქუჩაზე. გოეთეს ინსტიტუტს წელიწადში დაახლოებით 6000 ვიზიტორი ჰყავს და ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ცენტრს ენის კურსებისა და გამოცდებისთვის, მდიდარი მედიათეკითა და მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებებით (კონფერენციები, კონცერტები, გამოფენები და სხვ.). კაფეს აქვს დაახლოებით 15 დასაჯდომი ადგილი და ღიაა როგორც ინსტიტუტის თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის. ამინდის შესაბამისად შესაძლებელია ასევე გარე სივრცის გამოყენება, სადაც დამატებით 30-მდე ადგილი იქნება ხელმისაწვდომი.

რას გთავაზობთ:

- სრულად აღჭურვილი კაფის ფართის იჯარით გადაცემა ბიბლიოთეკის შიგნით

- ამინდის შესაბამისად გარე სივრცის გამოყენების შესაძლებლობა

- ჩართულობა ღია და კულტურულ გარემოში მაღალი ვიზიტორების ნაკადით (დაახლოებით 50 თანამშრომელი)

- თანამშრომლობის შესაძლებლობა როგორც შიდა, ისე გარე ღონისძიებების კეტერინგის მიმართულებით (დაახლოებით 20 ღონისძიება წელიწადში, საშუალოდ 50 სტუმრით)

- საწყისი სამზარეულოს აღჭურვილობის დაფინანსება

- გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივა

- ღია და გამჭვირვალე თანამშრომლობა

GOETHE INSTITUT

Sprache. Kultur. Deutschland.

სამუშაო პირობები და მოთხოვნები:

- კაფის მუშაობა უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიოთეკის სამუშაო საათებს (ამჟამად სამშაბათი – პარასკევი 11:00–19:00, შაბათი 11:00–16:00) და ბიბლიოთეკის ხასიათს (მაგ. მშვიდი ატმოსფერო)

- შესაძლებელია სამუშაო საათების გახანგრძლივება საღამოს ღონისძიებებისთვის შეთანხმებით

- სასურველია თანამშრომლებისთვის და სტუმრებისთვის მცირე, ახალი ლანჩის შეთავაზება (თანამშრომლებისთვის ფასდაკლება მისასალმებელია, მაქსიმალური ფასი სტუმრებისთვის – 25 ლარი)

- იჯარით მფლობელი სრულად პასუხისმგებელია კაფის მუშაობაზე და თავად უნდა მოიპოვოს ყველა საჭირო კომერციული და სურსათის უვნებლობის ლიცენზია

-იჯარით მფლობელი პასუხისმგებელია საკუთარი თანამშრომლებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვაზე, სალარო სისტემაზე, მცირე სამზარეულოს ტექნიკაზე და სხვა

- შესაძლებელია საკვების მიწოდების სერვისის შეთავაზება

- თვიური იჯარის საფასური შეადგენს 1.400 ლარს (შესაძლებელია მოლაპარაკება) და დამატებით კომუნალური ხარჯების ფიქსირებულ გადასახადს – 1.300 ლარს. სულ 2.700 ლარს.

- არსებული აღჭურვილობის გამოსასყიდი არ არის საჭირო

- მარკეტინგული კონცეფცია უნდა შეთანხმდეს გოეთეს ინსტიტუტთან

- იჯარით მფლობელი ვალდებულია გააფორმოს შესაბამისი დაზღვევები, მათ შორის პასუხისმგებლობის დაზღვევა

მნიშვნელოვანია:

- ბიბლიოთეკის სამუშაო საათებთან შესაბამისი, საიმედო მუშაობა აუცილებელია

- მინიმალური სამუშაო საათები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულებით

- გთხოვთ, მიუთითოთ მზადყოფნა გახანგრძლივებული სამუშაო საათებისთვის ღონისძიებების დროს

რას ველით:

- დადასტურებული გამოცდილება კაფის ან სწრაფი კვების სფეროში

- ხარისხიანი, მრავალფეროვანი და რაც შეიძლება ადგილობრივი პროდუქცია:

ყავა, ნამცხვრები, მსუბუქი კერძები, მათ შორის ვეგეტარიანული/ვეგანური

- მეგობრული და პროფესიონალური მომსახურება

- მზადყოფნა მოქნილი და თანამშრომლობითი მუშაობისთვის გოეთეს ინსტიტუტის გუნდთან

- მზადყოფნა გახანგრძლივებული სამუშაო საათებისთვის ღონისძიებების დროს

- ჰიგიენური და ეკონომიკურად მდგრადი საქმიანობა

საბუთები განაცხადისთვის:

- განმცხადებლის/კომპანიის მოკლე აღწერა

- საქმიანობის კონცეფცია შეთავაზებებისა და ფასების ჩამონათვალით

- ლანჩისა და საჭიროების შემთხვევაში კეტერინგის კონცეფცია

- დაგეგმილი პერსონალის სტრუქტურა

- კვების სფეროში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები

- რეკომენდაციები

კითხვები ტენდერთან დაკავშირებით:

შეკითხვები ტენდერის შესახებ მიიღება მხოლოდ ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: ausschreibung-tbilissi@goethe.de არაუგვიანეს 2025 წლის 8 აგვისტოს (საქართველოს დროით).

შესაძლებელია ობიექტის წინასწარი შეთანხმებით დათვალიერება. დაგვიკავშირდით ნომერზე: 032 2938945 (703 ან 701)

სატელეფონო კონსულტაცია არ ხორციელდება!

განაცხადის წარდგენის ვადა:

ველით თქვენს კონცეფციას და ვიმედოვნებთ, რომ ერთად შევქმნით სტუმართმოყვარეობის ცოცხალ სივრცეს ჩვენს ბიბლიოთეკაში!

გთხოვთ, თქვენი სრული განაცხადი (გერმანულ ან ქართულ ენაზე) გაგზავნოთ PDF ფორმატში შემდეგ მისამართზე: ausschreibung-tbilissi@goethe.de არაუგვიანეს 2025 წლის 31 აგვისტოს.

GOETHE INSTITUT

Sprache. Kultur. Deutschland.

ელექტრონულად გაგზავნილი განაცხადები გაიხსნება მხოლოდ ვადის

ამოწურვის შემდეგ.

შეცვლილი ან დამატებული დოკუმენტაცია ტენდერის პირობებში დაუშვებელია და გამოიწვევს განაცხადის გაუქმებას.